გაზეთი ღირს

| თვეც | მან. | კ. | თვეც | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 5 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდველის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი    საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი    1877—1887 წელიწადი


**დღესასწაულების გამო შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 1 სექტემბ.**

**გაზეთი „ივერია" პირველი სექტემბრიდამ წლის დამლევამდე ღირს 4 მ. 75 კ.**

«ივერიის» რედაქციაში ხელის-მოწერისა და განცხადების მიღება შეიძლება მხოლოდ დილის ათ საათიდამ ნაშუადღევის ორ საათამდე და საღამოს შვიდიდამ რვა საათამდე. მხოლოდ ამავ დასახელებულ საათების განმავალობაში შეიძლება პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან.


ქართული წერის დედანი

ვ. გაბიჩვაძისა,

გამოცემული ი. მურადოვისაგან,

ისყიდება ქ. ქუთაისში, გამომცემლის წიგნის მაღაზიაში.

ფასი 25 კაპ.

ვინც 30 ეგზემპლიარზედ მეტს დაიბარებს, ეგზემპლიარი 20 კაპ. დაეთმობა.

იქვე ისყიდება დედანთან სახმარებელი ლიტოგრაფიაში დაბეჭდილი რვეულებიც. (10—7)


ტფილისი, 28 აგვისტო

გერმანია დღემდის ევროპის სახელმწიფოთა მეთაურად ითვლება: იგი ისეთი სახელმწიფოა, რომელსაც ხელი აქვს ყოველს გვარს საპოლიტიკო საქმეში; იმისი პოლიტიკის მსვლელობა იმოდენად დიდის მნიშვნელობისაა, რომ ყველა სახელმწიფოები დიდის ყურადღებით და შიშით შეჰყურებენ ყოველს ფეხის ნაბიჯს ბისმარკისას. რასაკვირველია, უმთავრესი მიზეზი ამ გვარის გარემოებისა, გერმანიის სამხედრო ძლიერებაა, რომელსაც შიშ ქვეშ უჭირავს თითოეული ევროპის ძლიერი სახელმწიფო. ყველამ იცის, რომ გერმანია ყოველს თავის აზრს, განზრახვას თოფ-იარაღით დაიცავს, თუმცა იგი აზრი, განზრახვა სამართლიანი და სხვებისათვის სასარგებლო არ იყოს. მით უფრო საშიშია მეზობელთათვის გერმანიის ძლიერება, რომ ყველამ იცის, თუ რამდენად გულ-ცივი, უსამართლო და სასტიკია გერმანიის პოლიტიკა. უმთავრესი გამარჯვება გერმანიის საფრანგეთისა და ნაპოლეონ მე-III-ს დამარცხებაა. ამით გერმანიამ საქვეყნოდ დაამტკიცა, რომ თავისის მხედრობით, ძლიერებით იგი პირველი სახელმწიფოა.

რასაკვირველია, ამ გვარს სახელმწიფოს ყველანი ეჭვით უყურებდნენ; აი, რამდენი ხანია, რაც ყველა სახელმწიფონი, ისინიც-კი, ვისაც ომი სრულიად არ ესაჭიროება, ემზადებიან, აუარებელს სიმდიდრეს და ძალ-ღონეს ხარჯავენ იმისათვის, რომ თვისი მხედრობა განაძლიერონ იმ დროისათვის, თუ ვინიცობაა დროთა ვითარებამ საომრად გამოიწვია.

ყოველი გარეგანი სამხედრო ძლიერება მაშინ არის საფუძვლიანი და მტკიცე, თუ რომ იგი დამყარებულია შინაურს ძლიერებაზე, ეკონომიურს და სულიერს შემძლებლობაზე. მაშინ არის იგი ძლიერება საიმედო, თუ რომ შინაური ძალ-ღონე მუდმივ წარმატებაში შედის, თუ რომ წარმატება ზომიერად მსვლელობს. შეგვიძლიან ვკითხოთ, რამდენად მკვიდრი გერმანიის ძლიერება, დამყარებულია იგი თუ არა შინაურს ეკონომიურს და სულიერს წარმატებასა და ძლიერებაზე? ეს საკითხავი ფრიად მძიმე საკითხავია თვით გერმანიის საუკეთესო წარმომადგენელთათვის, რომელნიც დიდის ეჭვით შეჰყურებენ გერმანიის სამხედრო ძლიერებას, იმისთვის-კი არა, ვითომ იგი ძლიერება უქმი სიტყვა იყოს, არამედ იმისთვის, რომ შინაური წარმატება გერმანიისა დღითი-დღე უკან იწევა. მართლაც და ასე უნდა იყოს. გერმანია, ეს ოცი წელიწადია, რაც უმეტესს ნაწილს თვისის ძალ-ღონისას, თავის ეკონომიურს და გონებითს სიმდიდრეს განსაკუთრებით გარეგან გაძლიერებას ახმარებს; ეს გარემოებაკი მეტად მავნეა სახელმწიფოს სხვა საქმეებისათვის. სამხედრო ატმოსფერა, თავგასულობა, ყოველთვის მავნეა სულიერის წარმატებისათვის. ამიტომაც, როცა გერმანიის სამხედრო ძლიერება თან-და-თან მატულობს, საძირკველს სახელმწიფოსას ღრღნის ის სენი, რომელიც თუ დროზე ბოლო არ მოეღო, სრულიად გააუქმებს იმ სამხედრო ძლიერებასაც.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ გერმანიის ეკონომიური წარმატება, ვაჭრობა, მრეწველობა თან-და-თან კლებაში შედის. ეხლა საჭიროა მეორე გარემოებას მივუბრუნდეთ. საჭიროა გავიგოთ, თუ როგორ მოქმედობს გერმანიის ახალგაზდობაზე, მოზარდ თაობაზე, ე. ი. იმ დასზე, რომელიც შემდეგისათვის უნდა შეადგენდეს სახელმწიფოს უმთავრესს სულიერს ძალ-ღონეს, გერმანიის პოლიტიკის მიმდინარეობა, ხასიათი? აძლიერებს თუ არა გერმანიის პოლიტიკა იმ ახალს თაობაში გონებასა და მოქალაქობრივს გრძნობასა?

აი, რა პასუხს იძლევა ამ საკითხავზე ერთი საუკეთესო წარმომადგენელი გერმანიისა. იგი ამბობს, რომ ახალგაზდობა სრულიად არ მისდევს მაღალს აზრებს და გრძნობასა, რომ იგი სრულიად აღჭურვილი არ არის ნამდვილის სიყვარულით მამულისა და საზოგადოებისადმი. იმის აზრით, ახალგაზდობა გერმანიისა სრულიად წვრილმანდება და უფრო საკუთარს ინტერესებს მისდევს, ვინემ საზოგადო და სახელმწიფო საჭიროებას. ამ აზრის ავტორს შეუსწავლია სასამართლო წრეები, რომელთა წარმომადგენელნი, ნამეტნავად ახლად სწავლა-შესრულებულნი, სრულიად ვერა სდგანან იმ წერტილზე, რა წერტილზედაც უნდა იდგნენ სამართალის წარმომადგენელნი. ამათ შეამცირესო უწინდელი კარგი სახელი გერმანიის მსაჯულთა და გამომძიებელთა.

წარმოითქვა თუ არა ამ გვარი აზრი, გერმანიის მწერლობა შეუდგა იმის შესწავლას, გარჩევას. დაწინაურებული მწერლობა იმ აზრისაა, რომ ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზი თვით გერმანიის პოლიტიკაა, რომელიც უმთავრესად იმას მისდევდა, რომ გარეგანი, სამხედრო ძლიერება უმაღლესს წერტილამდე აეყვანა. გერმანიის

# ფელეტონი

## უცხოთა შორის

*სიმდიდრე და გვარიშვილობა.—ლორდი დრუმმონდი.—დიდი კაცი მეთევზეთა შორის.—არისტოკრატნი წინაპარნი და დემოკრატი შთამომავალი.—პოლ დერულედი და მამულის-შვილთა საზოგადოება საფრანგეთში.—გამბედავი ჰაერში მფრინავი.—დედა-მიწიდამ 7,000 მეტრის სიმაღლეზე ცხოვრება ადამიანისა.—ტისანდიე და ორი მსხვერპლი ჰაერში მოგზაურობისა.—უცნაური ახდენა წყევლისა.—გაფრთხილებთ ცრუ-მორწმუნეთა.—შემთხვევაა და სხვა არაფერი.*

ჩვენს დროში ყველა სიმდიდრეს ეტანება და დიდის ცხოვრების შეძენა უპირველესი საქმე და სურვილია. სიმდიდრესთან დიდ-კაცობასაც ეტანებიან და დიდ-გვარიშვილობას მრავალთათვის ჯერ კიდევ არ დაუკარგავს თავისი მიმზიდველი ძალა. რამდენია ქვეყანაზედ ისეთი, რომ ყველაფერს გასწირავს, ოღონდ-კი დიდი ხარისხი მიეცი, დიდი გვარიშვილობა დაუმტკიცე. ზრდილობა, სწავლა, სასარგებლო მოღვაწეობა ამ გვარ ხალხისათვის ისეთი მიმზიდველი და სანუკარი არ არის, როგორც დიდ-კაცობა, შთამომავლობა, მაღალ-ხარისხოვნება. თუ ყოველ ამასთან სიმდიდრეც აქვს, „ქონება უთვალავია", მაშინ ხომ ასეთი კაცი „ყვენსაც აღარ მისცემს სალამსა", თავზე ბუზს აღარ აიფრენს და ქვეყნის ბატონად და პატრონად მიაჩნია თავი.

რასაკვირველია, დიდი ქონებაც კარგია და არც დიდი გვარიშვილობაა დასაწუნარი, მეტადრე მაშინ, როცა სიმდიდრეცა და დიდ-კაცობაც პატრონს ცუდ მედიდობისათვის არ უნდა, არამედ სასარგებლო და საქვეყნო საქმისათვისა ხმარობს ერთსაცა და მეორესაც. მაგრამ როცა ამ ორის სიკეთისათვის კაცი ყველასფერს ივიწყებს, ყველაფერი გაუწირავს, რაც ძვირფასია ადამიანისათვის, და მხოლოდ იმით მედიდობს და მოაქვს თავი, რომ დიდის ქონებისა და დოვლათის პატრონი ვარ, დიდის გვარიშვილის კაცს მეძახიანო, მაშინ ასეთი კაცი ჭკვათა-მყოფელად აღარ მიაჩნიათ და მავნებელ ადამიანად სთვლიან კაცთა შორის.

ასეთი კაცი არა ყოფილა სრულიად ჯორჯ მონტეფექსი, ლორდი დრუმმონდი. ამ ლორდს დაბადებიდგანვე დაჰყოლია ბევრი სათნოთვისებანი. გულ-კეთილობისა და კაცურის-კაცობის გამო იმის გულსა და გონებაში უფრო მეტი ადგილი სჭერია ჩაგრულთა და საწყალთა შეველისა და სიყვარულის გრძნობასა და აზრს, ვიდრე დიდ-კაცობისა და სიმდიდრის შეძენისა და დამკვიდრების სურვილსა. ჩამომავლობით მაღალ-ხარისხოვანს ლორდს დრუმმონდს სრულიად არ მიუქცევია ყურადღება არც თავის ლორდობისათვის, არც პეროებისა და გრაფობისათვის. თავისი დიდი და აუარებელი სიმდიდრეც უარ-უყვია და მთელი თვისი სიცოცხლე გაუტარებია მხოლოდ ჯაფასა და შრომაში, უჭამია მშრალი, მაგრამ ალალი და ტკბილი ლუკმა, და თუ რამ შეუძენია მხნე და დაუღალავის მარჯვენით, უქონელისა და ნაკლებულისათვის შეელა და დახმარება გაუწევია. აი ამ ლორდის ამბავი დაწვრილებით:

**

ლორდი დრუმმონდი დაიბადა 1856 წელს. ჯერ ისევ ყმაწვილი იყო, როცა პატარა ლორდს დედ-მამა დაეხოცა. ობლად დარჩენილი ყმაწვილი წაიყვანა თავისმა დიდედამ და ზრდიდა თავისთან ფოლქსტონში. აქ დრუმმონდს მეტად შეუყვარდა ზღვა და მთელს დღეს მეთევზეებთან ატარებდა. მეთევზეებიც ისეთი კეთილი ხალხი იყო, რომ მალე მოიგეს გული ახალგაზდა ყმაწვილისა, რომელიც იმათის ხათრითა და პატივის ცემით იმათებურად იცვამდა ტანისამოსს. დიდედა ამაზე ძალიან ჯავრობდა, მაგრამ ყმაწვილის სურვილს ველარ ეწინააღმდეგა. ახალგაზდა ლორდი თან-და-თან უფრო მეტად ეტრფიალებოდა ზღვას. ზღვაში ყოფნა და ცურვა გულის თქმად გადაექცა. უფრო მაშინ უყვარდა ზღვა, როცა მრისხანედ ღელავდა და მთებივით ზვირთებს აგორებდა. ასეთის ფურთენის დროს ახალგაზდა ლორდი გულადად და დაურიდებლად დასცურავდა ზღვაზე და ჰშველოდა ყველას, ვისთვისაც მოესწრო განრისხებულს და აღშფოთებულს წყალს. ფოლქსტონის მეთევზეები დღესაც ბევრს დაუჯერებელს ამბავს ლაპარაკობენ თურმე ახალგაზდა ლორდის მამაცობასა და მხნეობაზედ. ამ საკვირველის კაცისათვის სიკვდილი იყო, რომ ვისმე გაეხსენებინა მისი შთამომავლობა და დიდ-კაცობა. თუ ჰქონდა რამე, მუდამ მზა იყო გაეყო თავის მეგობრებისათვის. როცა ქალალდს ჩამოატარებდნენ ავადმყოფ მეთევზეს სასარგებლოდ, გროშსა და კაპიკს აღარ დაინარჩუნებდა, ისე დაიცარიელებდა ჯიბეებსა. აი ლორდ დრუმმონდი დაეჭკაცდა კიდეც, მაგრამ ფიქრადაც არ მოსვლია, რომ თავი დაენებებინა დემოკრატის ცხოვრებისათვის: იმას კვლავ ისევე აღტაცებით უყვარდა ზღვა, მეთევზეები და თავისი მდაბიურის ჩამომავლობის ღარიბი ტოლ-ამხანაგები. ფოლქსტონში დრუმმონდს ჩაუვარდა გულში სიყვარული ერთის ღარიბის გასათხოვარის ქალისა, რომელიც იმაზე უფროსი იყო და ჯვარი დაიწერა კიდეც. ნათესავები თავებს იხოცავდნენ ასეთის შეუსაბამო ქორწინების გამო და ათას ნაირის ჩიჩინით თავს აბეზრებდნენ. დრუმმონდმა მიატოვა ყველაფერი და თავის ცოლთან ერთად გასწია ამერიკაში. გზის ფული რომ არა ჰქონდა, გემზე მუშაობდა და ასე მუშაობით გადავიდა ნიუ-იორკს. ნიუ-იორკში დრუმმონდი ისე მუშაობდა, როგორც უბრალო მუშა-კაცი. როცა თავისუფალი დრო ჰქონდა, თევზაობდა და ნადირობდა. თუ მუშაობა არა იყო-რა, მატროსად მიდიოდა და ისე არჩენდა ცოლ-შვილს. შემდეგ დრუმმონდმა კალატოზობა დაიწყო. დრუმმონდი კალატოზად იყო ერთს შეძლებულს მემამულესთან, მაგრამ როცა ეს მემამულე გაღარიბდა და გაკოტრდა, დრუმმონდი დიდს გაჭირებაში ჩავარდა. ისე გაუჭირდა საქმე, რომ ღამის დარაჯად დადგა რკინის გზაზე. მხოლოდ 1884 წელს, ესე იგი, ამ ორის წლის წინად, იშოვა კარგი ალაგი მაღაზიაში, რომელიც ჰყიდდა შეკერილს და მზა-მზარეულს ტანისამოსსა. ამდენის ხნის განმავლობაში დრუმმონდი სამაგალითოდ იქცეოდა ოჯახში, როგორც შეეფერებოდა კარგსა და ოჯახის მოსიყვარულე ქმარსა და მამასა. ბოლოს ჯაფა და შრომა ველარ აიტანა ამ საკვირველმა კაცმა და ავად გახდა. ოჯახს უვლიდა და აცხოვრებდა მისი ცოლი ჭრა-კერვითა და ხელ-საქმითა.

ასე გაატარა თავისი სიცოცხლე ლორდმა დრუმმონდმა და ისე მოკვდა, რომ არავისათვის არ შეუჩივლია, რა გაჭირვება და წვა-დაგვაც აიტანა თავის ცხოვრებაში. ლორდს დრუმმონდს დარჩა ერთი ქალი, რომელიც მემკვიდრეა დიდისა და აუარებელის ქონებისა. ამ ქალს, თუმცა მამა ასეთი დემოკრატი და მდაბიო ხალხის მოყვარე ჰყავდა, სამაგიეროდ პაპა და წინაპარნი-კი დიდი არისტოკრატები იყვ.

წარმომადგენელთა ყოველივე შესწირეს ამ საგანს, და სამაგიეროდ ისეთს დროს შეესწრნენ, როცა სულიერი ძალ-ღონე, მოქალაქობრივი გრძნობა თან-და-თან კლებულობს...

ა. ხ—ი

## ახალი ამბავი

*** ვაზის ავადმყოფობა, რომელზედაც ბოლოს დროს დაიწყეს ლაპარაკი ტფილისის გაზეთებმა, გამოიძიეს და შეამოწმეს ნასწავლმა კაცებმა. აღმოჩნდა, რომ ეს ახალი სენი არის შედეგი ერთ-გვარის სოკოს გავრცელებისა. ამ სოკოს მეცნიერებაში ჰქვიან პერონოსპორა. საშინელი რამ სოკო ყოფილა ეს თვალით დაუნახავი, პაწაწა პერონოსპორა და ფილოქსერაზე უფრო ძრიელი მტერი ყოფილა ვაზისა. თუ ზაფხული ნესტიანი და თბილია, პერონოსპორა მრავლდება საკვირველის სისწრაფით: ორ-სამს დღეს მოედება მთელის ოლქის ვენახებსა. ცხელსა და გვალვიან ზაფხულ მრავლდება ძალიან მძიმედ და ნელა. სიცივესი ძრიელ ეშინიან. ეს სოკო სწუწნის ვაზის წვენს, აშრობს, ახმობს და ამით აფერანებს ვენახებს. ევროპის ვენახები თითქმის ერთიან გააჩანაგა ამ მძლავრმა და საშინელმა მტერმა. ჩვენში დიდი ხანი არ არის, და აგერ თითქმის ყველა ვენახებს მოედვა ქართლსა და კახეთში.

სხვა-და-სხვა საშუალებას ურჩევენ პერონოსპორასთან საომრად. ზოგი ამბობს—გოგირდი შეაყარეთო, ზოგი რასა და ზოგი რას. ბ-ნი გეევსკი გაზ. „Новое Обозрѣніе"-ში ამბობს, რომ გარეგანის წამლობით ყოვლად შეუძლებელია ამ სოკოს გაქრობა, რადგან იმას ფესვები აქვს გაკეთებული ვაზის ფოთლის კანში და საგაისოდ ამ ფესვებიდამ კიდევ გაიზრდება ახალი სოკო, რომელიც ხსენებულის სისწრაფით გამრავლდება და გადაედება ვენახებსაო. ყველაზე უტყუარი წამალი იქნება, რომ მოვგავოთ შემოდგომაზე ჩამოცვივნული ფოთოლი და დავწვათ ხოლმე, და თუ ეს არ მოხერხდა, ღრმად გადავბაროთ ვენახი და მიწაში მოვაყოლოთ ფოთოლი, რომ მეორე წელიწადს ველარ გამრავლდეს სოკოო.

*** ჩვენს გაზეთში გვქონდა დაბეჭდილი ამბავი, რომ კუკიაში, მირიმანოვის სახლებში, ცეცხლი გაჩნდა 24 წარსულ ივლისს. ცეცხლი მოეკიდა გამომძიებელ ა. ბ. ხოსროევის სადგომიდამ. ცეცხლი მალე გააქრეს. პირველისავე შეხედვით აშკარა იყო მაშინვე, რომ ცეცხლი ძალად წაეკიდებინა ვიღაც ბოროტ-გამზრახველს. სახლი დაკეტილი იყო და ხოსროევის სახლობა აგარაკად ყოფილიყო გასული ტფილისიდამ. თითონ გამომძიებელი ხოსროევიც სახლში არა ყოფილიყო იმ დროს. გამომძიებელ ხოსროევს თავისი ავეჯი დაზღვეული ჰქონდა ორი ათას ხუთას თუმნად. გამომძიებელმა ხოსროევმა სთქვა, რომ ალბად ქურდები შევიდნენ სახლში, გაიტანეს ჩემი ნივთები და, რომ კვალი არავის მიეტანათ მათზე, წაუკიდეს ცეცხლიო. მაგრამ, როგორც ამბობენ, როდესაც გამომძიებელთ ნახეს, რომ დაკეტილი კამოდი სავსე იყო ნავთიანის ძონძებით, მაშინ ეჭვი მიიტანეს პირ-და-პირ თვითონ ხოსროევზე. ამის გამო ხოსროევს დაჰბრალდა განზრახული ბოროტ-მოქმედება, სახლის დაწვა, რომ ამ საშუალებით დამზღვეველ საზოგადოებისაგან გამოეტანა ორი ათას ხუთასი თუმანი. როდესაც ხოსროევს გამოჰკითხეს საქმის გარემოება და დააწერინეს ჩვენება, მაშინვე გამომძიებელთ ჩამოართვეს საქმეები, და გუშინ, 27 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე და 20 წამზე პოლიციის ბოქაულმა ბ-ნმა კუზმინსკიმ წაიყვანა მეტეხის ციხეში. რადგანაც მეტეხის პატიმრებს დიდი ჯავრი სჭირდათ ხოსროევისა და ნატრობდნენ იმის დანახვას ციხეში, ამიტომ, ყოველ უბედურებისა ასაცდენად, ხოსროევი არ ჩასვეს სხვა პატიმრებთან ერთად, არამედ დაამწყვდიეს ცალკეო, როგორც გვიამბეს მნახველებმა.

*** საქალაქო სასწავლებელსაც ძალიან ბევრი ყმაწვილობა მიადგა კარსა, მაგრამ ვაკანსიების სიცოტავისა გამო მეტად მცირე შეგირდები იქმნენ აყვანილნი. მაგალითად, როგორც გვითხრეს, პირველ კლასში სულ ექვსი იყო ვაკანსია და მსურველთა რიცხვი-კი ოთხმოცი.

*** საპერნის ქუჩაზე რევაზიშვილის გასათხოვარს ქალს კაბაზე ცეცხლი მოეკიდა და ძლივ გააქრეს. ამბობენ, ცეცხლი ჩქარა გაუქრიათ, მაგრამ მაინც ქალი ძრიელ შეწუხებულია და კიდეცა ეჭვობენ, რომ ავადმყოფი გადურჩეს ამ უბედურ შემთხვევასაო.

*** ბ-ნმა პეტრე მირიანაშვილმა სთხოვა ნება-რთვა გაზეთის „ახალი ამბების" გამოცემაზე. ამ დღეებში პეტერბურგიდამ უარი მოჰსვლია გაზეთის გამოცემისა.

*** ბ-ნს ვ. გუნიას შეუდგენია კარგა ვრცელი ქართული კალენდარი 1888 წლისა, რომელიც უკვე იბეჭდება ჩარკვიანის სტამბაში და სექტემბრის 20-მდე კიდეც გამოვა გასასყიდად. თავის კალენდარში ბ-ნს გუნიას ცნობები მოუქცევია ჩვენის ცხოვრებიდამაც. სხვათა შორის კალენდარში მოქცეულია მრავალი სასტატისტიკო ცნობები, სამეცნიერო, საექიმო, სამეურნო და სხვანი.

*** ქუთაისიდამ: ორშაბათს, 24 აგვისტოს, ქუთაისში გარდაიცვალა ნ. ჩ—ძის ძუძუთა ბავშვი შემდეგის უბედურის შემთხვევით: მშობლები სხვაგან წასულიყვნენ და ბავშვი-კი მიებარებინათ თერთმეტ-თორმეტის წლის ქალიშვილისათვის. ეს ქალიშვილი სულით ავადმყოფი არის და ხშირად რაღაცეები ელანდება, ეჩვენება ხოლმე. აი ამ საცოდავს, როდესაც მარტოკა დარჩენილა აკვანში მწოლარე ყმაწვილთან, უეცრად მოჰლანდებია, რომ ვითომ ყმაწვილის თავით, აკვანზედ, ვიღაცა ფრთებიანი სულდგმული შემომჯდარა. ქალიშვილს ძრიელ შეჰშინებია. აუღია მუშტი და, რომ უნდა დაარტყას მოჩვენებას, დაურტყავს ყმაწვილისათვის თავში. ყმაწვილს მაშინვე გრძნობა დაუკარგავს. მოსულა დედა და ბევრის მეცადინეობის შემდეგ ბავშვი მოუბრუნებია.

მაგრამ ბავშვი თურმე მაინც თავს ვერ იმაგრებდა—კისერს ხან იქით გადააგდებდა და ხან აქეთ. ამ წვალებაში იცოცხლა ორიოდე დღე და მერე სული განუტევა.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

მკითხველებისათვის საინტერესო იქნება შეიტყონ, რას აკეთებს და რას ფიქრობს ამ ჟამად პრინცი ფერდინანდი, მთავარი ბოლგარიისა დეპეშამ მოგვიტანა ამბავი, რომ პრინცი, რასაც ელოდდა, ის არ დახვდა ბოლგარიაში, ამიტომ გუნებაზედ ვერ არის და ცოტას ხნით ვენგრიაში აპირობს წასვლას თავის მამულშიო და, ვინ იცის, იქნება ეს ცოტას ხნით წასვლა დიდ-ხნობით წასვლასა ჰნიშნავდესო. გაზ. „Новости"-ს ლაპარაკსკი თუ დავუჯერეთ,

პრინცს შეუდგენია, ამბობს ეს გაზეთი, პროგრამა თავის სარეფორმატორო მოქმედებისა და ძალიან მოწადინებულია, რომ ეს პროგრამა უნაკლულოდ იქმნას შესრულებული.

თუმცა პროგრამა კარგია, მაგრამ საქმე პროგრამის დაწერა და შედგენა-კი არ არის, საქმე შესრულებაა.

სტამბულოვს დიდად მოსწონებია პროგრამა და მზად არის მთელი თავისი მჭევრ-მეტყველება მოიხმაროს იმის დასაცველად; სტოილოვს სულ ეს პროგრამა აკერია ენაზე და სიზმარშიაც-კი ის ელანდება; ტონჩევს კიდევ ჰგონია, რომ ეს პროგრამა დიდი საპოლიტიკო სიბრძნეაო.

აი როგორი პროგრამაა ეს პროგრამა:

პრინცმა ყურადღება არ უნდა მიაქციოს ევროპას და მხოლოდ ოსმალეთის მეგობრობა უნდა შეიძინოს. რკინის გზები, რომელთა გაკეთებაც უნდოდათ წინად, უნდა გაკეთდეს ექვსის თვის განმავლობაში; კანონიერად წარმოება სამართლისა დაუყოვნებლივ უნდა იქმნას აღდგენილი; საკანონ-მდებელო ცვლილებანი უნდა გადაიდოს შემდეგისათვის; ნება უნდა მიეცეთ გადახვეწილთ, კვლავ დაბრუნდნენ თავიანთ სამშობლოში; ყოველი ღონე უნდა იქმნას ხმარებული, რომ აღებ-მიცემა და მრეწველობა გავრცელდეს და გაძლიერდეს; შიშიანობის წესნი უნდა გაუქმდნენ და იმოქმედონ მხოლოდ განსა-

---

ნენ და განცხრომასა და ნებივრობაში ატარებდნენ თავიანთ წუთი-სოფელს.

**

დრემმონდის ამბავი, რასაკვირველია, არაფრად ეჭაშნიკებათ იმათ, ვისაც, იმის წინაპარსავით, სიცოცხლე მხოლოდ იმისთვის უნდათ, რომ განცხრომასა და ფუფუნებაში გაატარონ. ასეთი ხალხი სისულელესა და სიგიჟეს ეძახის სიმდიდრისა და გვარიშვილობის უარ-ყოფას და, რასაკვირველია, არაფრად აფასებს არც წმინდა, გულ-წრფელს სიყვარულს, არც მოძმეს მიმართ თანაგრძნობას, არც გარჯასა და ჯაფას და არც თავ-განწირვას და თავ-დადებას გაჭირებულისა და დაჩაგრულისათვის. მაგრამ, მათდა სამწუხაროდ, იმათის სურვილით ქვეყანაზედ მაინც არ დაილევა მაგალითი კაცურის კაცობისა. ქვეყანაზედ ბევრია იმისთანა, რომელიც უარს ამბობს ყველაზედ: სიმდიდრეზედაც, ხარისხზედაც, დიდსა და გამოჩენილს ალაგზედაც, სახელსა და დიდებაზედაც. უარს ამბობს ყველა ამაზედ, გაუწირავს ყოველივე სიკეთე და „სიამენი სოფლისა" მხოლოდ იმიტომ, რომ უფრო დაუბრკოლებლივ და მეტის მხნეობით ემსახუროს თავის ქვეყანას, თავის ერს. აი ასეთია სხვათა-მრავალთა შორის სახელ-განთქმული მამულიშვილი საფრანგეთისა პოლ დერულედიც. პოლ დერულედს ჩვენი მკითხველები იცნობენ კიდეც, ცოტა არ იყოს, რადგან ამ კაცის საკვირველ ცხოვრების შესახებ წინადაც ბევრჯელ იყო ლაპარაკი ჩვენს გაზეთში. პოლ დერულედი თავ-მჯდომარეა „პატრიოტების საზოგადოებისა", რომელსაც აზრადა აქვს დაუბრუნოს საფრანგეთს გერმანიის მიერ ორი ძალად წართმეული თემი. საზოგადოებას 250,000 წევრი ჰყავს. ამ საზოგადოებას მოახმარა დერულედმა მთელი თავისი ქონება. მეორედ კიდევ შეიძინა ქონება და ეს მეორედ შეძენილი ქონებაც ისევ ამ საზოგადოებას მოახმარა. საზოგადოება ქადაგობს გერმანიისათვის სამაგიეროს გადახდას და ელზას-ლორენი უნდა დაუბრუნოს საფრანგეთს. ამას გარდა აზრადა აქვს მამულის სიყვარულში აღზარდოს ერი თუ წიგნებით, თუ ლექსების შემწეობით, თუ სხვა-და-სხვა სამხედრო ვარჯიშობით. აი ამ საზოგადოების მოთავეა დერულედი. დერულედმა თავისი გმირობა დაამტკიცა იმ ომში, რომელიც ისე საუბედუროდ გათავდა საფრანგეთისათვის. დერულედს მაშინ შემთხვევა ჰქონდა დიდი ალაგი მიეღო, მაგრამ იუარა და მიატოვა სამხედრო სამსახური. დერულედი გაგიჟებით უყვარს ერს, ნიჭიერი და მჭევრმეტყველი ორატორია, ფრიად ნასწავლი და განათლებული, ისე რომ ადვილად შეეძლო უმაღლესი ადგილი დაეჭირა სახელმწიფოს მმართველთა შორის, მაგრამ ესეც უარ-ჰყო და უნდა თავი შესწიროს მხოლოდ ერთს საქმეს, ერთს აზრს, გერმანიისათვის სამაგიეროს გადახდას. დერულედს ეს იმით-კი არ მოსდის, რომ სისხლი სწყურიან, შურის-ძიებით არის დაბრმავებული. არა, დერულედი ფრიად გულ-კეთილია და წარსულს ომში ისე ილაშქრა, რომ ჯიბიდამ საუკეთესო პოეტს, ალფრედ მიუსეს წიგნი არ მოუშორებია; დერულედს თუ სამაგიეროს გადახდა უნდა გერმანიისათვის, იმიტომ უნდა, რომ გულ-მხურვალედ უყვარს თავისი სამშობლო და იმის ძლევა-მოსილობით ჰსურს დაამტკიცოს ზნეობრივი ძალი და სიმტკიცე თავის ქვეყნისა; უნდა დაამტკიცოს, რომ იმის სამშობლოსაც აქვს უფლება იკეთილდღეოს და იბედნიეროს სხვათა ერთა შორის. 17 წელიწადია ამ აზრს შესტრფის, ამ აზრს შეჰხარის დერულედი, ამ აზრით სცოცხლობს და სულ-დგმულობს. 17 წლის შემდეგაც ეს დაუზარებელი კაცი იმავე მხნეობით და იმავე აღტაცებით ჰქადაგობს, გულში ცეცხლ-ანთებული, როგორც წინად, ახალგაზრდობის დროს. მოდით და ნუ იტყვით ყოველ ამის შემდეგ, რომ დერულედი, რომელიც ამასთანავე საუკეთესო პოეტიც არის, საკვირველი კაცი არ არისო, ისეთი კაცი, რომელსაც სწვავს ცეცხლი მამულის სიყვარულისა, რომელმაც ამ საყვარელს კერპს შესწირა ყველა თავისი საუნჯე, ნიჭი, და გულის-თქმაც კი.

**

დიდსა, საერო და საქვეყნო საქმეს ასეთი თვისება აქვს, რომ კაცს თუ თავი შეაყვარა, ძრიელ შეაყვარებს, ძრიელ გაიტაცებს! გაიტაცებს თავ-დავიწყებამდე, თავ-დადებამდე. რამდენია იმის მაგალითი, რომ ისე გაუტაცნია კაცი მეცნიერებას, სამეცნიერო მოგზაურობას, საშიშს სამეცნიერო ცდას, რომ სულ დაჰვიწყებია თავისი თავი და სიცოცხლე. აი ასე დაივიწყა თავი, მაგალითად, გამოჩენილმა ჰაერში მფრინავმა ტისანდიემ, რომელიც ავიდა ჰაერში მფრინავის ბურთით 7,000 მეტრის სიმაღლეზე ორის თანამოგზაურითა. მართალია, თვითონ ტისანდიე მშვიდობით გადარჩა ამ მოგზაურობას, მაგრამ მისი ორი თანამგზავრი-კი იმსხვერპლა ასეთმა გამბედაობამ. ამ დღეებში ასეთსავე სიმაღლეზე ასულა მეორე გამბედავი ჰაერში მფრინავი ბ-ნი ჟოვისი, რომელიც ეს 215-ჯერ ადის ეხლა. ჟოვისს თავისი საკუთარი ბურთი აქვს, რომელსაც „Horla" ჰქვიან. ეს ბურთი ისეა გაკეთებული, როგორც მეცნიერება მოითხოვს. ყოველივე მეცნიერებისაგან გამოკვლეული საჭირო მოწყობილობა აქვს ამ ბურთსა. მაგრამ ჩვენ თვით ჟოვისს დავუგდოთ ყური და ის თვითონ მოგვითხრობს, როგორ ავიდა უკანასკნელად გამბედავი ჰაერში მფრინავი 7,000 მეტრის სიმაღლეზე:

„ეს 215-ჯერ ავდივარ ჰაერში. აქამდე 4,000 მეტრზე მაღლა ჯერ არ ავსულიყავი. ავუშვი თუ არა დილით, ჩემი ბურთი ჯერ აღმოსავლეთისაკენ მიიმართა და 7 საათსა და 40 წუთზედ ქარმა ისევ უკან წამოგვიღო. შემდეგ დასავლეთისკენ გაგვაქანა ჰაერის მოძრაობამ. 8 საათსა და 40 წუთზედ ჩვენ უკვე 6,400 მეტრის სიმაღლეზედ ვიყავით. ტერმომეტრი $0^{\circ}$-მდე ჩასულიყო. 9 საათსა და 15 წუთზედ ჩვენ 6,500 მეტრის სიმაღლეზედ ვიყავით და ტერმომეტრს მაღლა აეწია, $+3^{\circ}$ იყო. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ ყოველთვის ისე არ არის, ვითომ, რაც უფრო მაღლა ხარ, მით უფრო ძრიელ ცივა. 9 საათსა და 45 წუთზედ 6,600 მეტრზედ ავედით, ჰაერში $+1^{\circ}$ სითბო იყო.

„10 საათზედ ჩვენ 50 მეტრზე კიდევ მაღლა ავედით; სითბო $+3^{\circ}$ იყო. ჩემს ამხანაგს მალლეტს უჰაერობის გამო გული უწუხდებოდა და ირჩობოდა. ვასუნთქებინე მჟავ-მბადი და როგორც იყო გრძნობაზე მოვიყვანე. თუმცა მალლეტი ძრიელ ცუდად იყო, მაგრამ მაინც გაჭირვეულდა და თხოულობდა, რომ კიდევ მაღლა ავიდეთო. ჩვენ ერთი ტომარა ქვიშა-ღა დაგვრჩა და ისიც გადმოვაგდეთ. ისეთს სიმაღლეზედ ვიყავით, რომ, როცა გაიელვა, გვეგონა, ჩვენ ცხვირ წინა ელავსო. 10 საათსა და 10 წუთზედ ჩვენ უკვე 7,000 მეტრის სიმაღლეზედ ვიყავით.

„მალლეტი უკეთ შეიქნა. მე სრულიად კარგად ვიყავი და არა მიგრძნია-რა; ხმა არც მე, არც ჩემს ამხანაგს არ შეგვცვლია. როგორც ჯანზედ, ისე ღონეზედაც კარგად ვიყავით. შევაყენეთ ბურთი და წამოვედით ძირს.

„10 საათსა და 20 წუთზედ უკვე 5,950 მეტრზედ-ღა ვიყავით. ბურთი ჩაიჭრა სქელს ღრუბლებში. ერთმანეთის ხმა და ლაპარაკი აღარ გვესმოდა, ძირს სწრაფად ვეშვებოდით. 10 საათსა და 24 წუთზედ 4,600 მეტრის სიმაღლეზედ-ღა ვიყავით. ტერმომეტრი ნულს ქვემოდ იდგა და $2^{\circ}$ აჩვენებდა.

„ამ დროს ჩვენ საკვირველად დაგვეხურა გული და უცნაურს სულის წუხილსა ვგრძნობდით. კერძოდ მე

კუთრებულმა კანონებმა მწერლობის თავისუფლების შესაზღუდავადაო.

ბოლგარიის მეთაურებს მხოლოდ ეს უკანასკნელი ადგილი არ მოსწონთ ამ პროგრამისა, მაგრამ სხვა პირობანი ისე მოსწონთ, რომ მზად არიან დასთმონ თავისუფლება მწერლობისა.

**

გაზ. „Гражданинъ“-ი ფრიად საყურადღებო საგანზე ჩამოაგდებს ხოლმე ლაპარაკს. აი, მაგალითად, სამშობლოს მრეწველობის მფარველობის თაობაზე რას მოგვითხრობს გაზეთი:

მფარველობა სამშობლო მრეწველობისა,—ამბობს თავადი მეშჩერსკი—სწორედ ძლიერ რიხიანი სიტყვებიაო. მაგრამ თუ გინდათ, რომ ამ სიტყვებს დიდი აზრიცა ჰქონდეთ, ეგ მფარველობა იმისთვისაც მფარველობა უნდა იყოს, ვინც ითხოვს მფარველობას და იმისთვისაც, ვინც ფულს იხდის და ალორძინებს ყოველ-გვარ წარმოებას.

ამ აზრს, ცოტა ბუნდად გამოთქმულს, შემდეგის მაგალითით გამარტავს თავადი მეშჩერსკი:

## რუსეთი

— მრავალნი მოსწავლენი, რომლებმაც საშუალო სწავლა-განათლება დაასრულეს რუსეთში, უმაღლესის განათლების მისაღებად მიისწრაფიან გერმანიისაკენ. სატეხნიკო ინსტიტუტში (მიტვეიდში) ამ ერთის თვეის წინად შეუტანია თხოვნა რუსეთიდგან 87-ს ყმაწვილს. აგრეთვე მრავალი თხოვნა გაუგზავნიათ სამეფო სატეხნიკო სასწავლებელში, რომელიც ხემნიცში იმყოფება, სამთო ინსტიტუტში (ფრეიბერგში) და საფეიქრო სასწავლებელში.

— წარსულს გაზაფხულს ციმბირის ერთს ახალს სასამართლოს გარდაეცა გასარჩევად „ისპრავნიკის“ ვასილიევის საქმე, რომელიც ცხრა წელიწადია რაც სწარმოებს. ეს საქმე შეიცავს 47-ს დიდს წიგნს; გამომძიებლის შემოკლებული წერილი შეიცავს 520 ფურცელზე მეტს. ვასილიევს ბრალდება იმდენი ბოროტ-მოქმედება, ქრთამის აღება და სხ., რომ 47-ს წიგნში ძლივს მოუთავსებიათ და, რასაკვირველია, იმის გარჩევას დიდხანს მოანდომებენ.

— გაზეთი „Новое Время“ იუწყება, რომ პეტერბურგის ზოგიერთა გიმნაზიებს ისევე ებრძანა მიიღონ ყმაწვილები მოსამზადებელ კლასებშიო.

— სამხრეთ-რუსეთის მადნეულობის მრეწველთა სთხოვეს მთავრობას, რომ სახელმწიფო და სამოქალაქო შენობებში იხმარონ შეშის მაგიერ ქვა-ნახშირი, უკეთუ ანგარიშით შეშაზე უფრო იეფი იქნება ქვა-ნახშირით გათბობა სახლებისა. სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ გადასწყვიტა შეიწყნაროს მადნეულობის მრეწველთა თხოვნა, რადგანაც შეშის ადგილზე ქვა-ნახშირის ხმარება, თუ მალალ-მნიშვნელოვანი იქნება, არა მარტო თვითონ მადნეულობის საქმის გაძლიერებისათვის, არამედ ტყეების შენახვაშიაც დიდს სიკეთეს გაუწევს რუსეთსა. როგორც გაზ. „Московскія Вѣдомости“ ამბობს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მისცა წინადადება სამხრეთ-რუსეთის გუბერნატორებს, რათა გამოიკვლიონ, რამდენად ჰკუაში მოსასვლელია, რომ შეშის მაგიერ იხმარონ ქვა-ნახშირი, და მოახდინონ კიდეც შესაფერი განკარგულება, უკეთუ სარფასა ჰნახავენ.

— გაზ. „Русскій Курьеръ“-ი ამბობს, რომ მომავალ სამოსწავლო წლისათვის პეტერბურგის სამხედრო აკადემიაში მოწვეულნი არიან სამეცნიერო განზრახვით 56 სამხედრო მკურნალი, რომელთა შორის თერამეტმა კაცმა უნდა უფრო დაბეჯითებით შეისწავლონ მარტო ხირურგია, დოსტაქრობა, რომელიც ასე საჭიროა ომიანობის დროსაო.

## წვრილი ამბები

— გერმანიის იმპერატორ ვილჰელმისათვის მოუმზადებიათ განსაკუთრებული სამხედრო ეტლი. ამიერიდგან იმპერატორი ამ ეტლით ივლის ხოლმე ალლუმებზე, რადგან მოხუცებულს ვილჰელმს ცხენზედ ჯდომა აღარ შეუძლიან.

— ლონდონის სამხედრო მუზეუმს ერთი კარგი და იშვიათი განძი შეუძენია: გრძელი ყელზედ ჩამოსაგდები ჯაჭვი... ადამიანის თითებისაგან შედგენილი. ეს ჯაჭვი ინდოეთიდგან არის მოტანილი. ამ ჯაჭვზე იმ „თეთრ კანიანთა“ ადამიანთა თითები არის ასხმული, რომელნიც ინდოელთ დაუხოცნიათ. ჯაჭვი როდისღაც ყელზედ უტარებია ინდოელთა მღვდელ-მთავარს.

— მეკონში, ჩრდილოეთ ამერიკაში, ვიღაც ტომას ვუდფორდს ცეცხლით დაუხოცნია მთელი ოჯახობა თავის მამისა: მამა, დედინაცვალი და შვილი უმაწვილი. მიზეზი ამ მკვლელობისა ისა ყოფილა, რომ ტომასს განუზრახავს თავის შეძლებულის მამას ქონების დასაკუთრება. ამას წინად მიუღია თავისი ნაწილი სამკვიდროდგან, მაგრამ საკომერციო საქმეებში გამოლია, უზარალნია და იქ წაუგია ეს ფული. მკვლელი ახალგაზდა კაცია, 26 წლისა, დაცოლშვილებულია და ორი შვილიცა ჰყავს.

— ლონდონში ძალიან გავრცელებულია ცეცხლების და ამის გამო ადგილობრივი მცხოვრებელნი ძალიან აღელვებულნი არიან თურმე. ამ დღეებში, მაგალითებრ, ლონდონის ოთხსავე სამკურნალოში 750 ავადმყოფი იწვა თურმე წითელა-ყვავილიანი. ეს სენი მთელს ლონდონში მოდებულია, როგორც მდიდართა, ისე ღარიბთა ოჯახებში.

— საფრანგეთის ჯარში სცდიან ამ ჟამად ახალს სამხედრო იარაღს, რომელსაც სახელად „Locomobile de guerre“ ჰქვიან. მთელი ეტლია გამართული, რომელიც დიდ-ძალს ადგილს ანათებს დამე ელექტრონის სინათლით. ეს იარაღი უცდიათ შალონის ახლო და გადაუწყვეტიათ, რომ სამხედრო საქმისათვის გამოსადეგიაო. ამ იარაღის შემწეობით ჯარს შეეძლება ღამეც-კი იბრძოლოს ხოლმე ომიანობის დროსაო.

— ამერიკაში შემოუღიათ ახალი ასოები ქაღალდის დიდრონის სათავსოს და სხვა განცხადებათათვის, რომლისათვისაც ეხლა ხეზედ ამოჭრილს ასოებს ახმარებენ. ქაღალდს ახმობენ, ფქვილად აქცევენ და სელის ზეთში ურევენ, რომ წყალი აღარ აიღოს. ამის შემდეგ კიდევ უნდა გააშრონ, ცხელს ზუხარში დაადნონ და ასოებად ჩამოასხან. ასე მომზადებული ასოები არაფრით ჩამოუვარდება თურმე ხისა და ლითონისაგან გაკეთებულ ასოებსა.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

თქვენს პატივცემულ გაზეთის 178 №-ში დაბეჭდილია შენიშვნა შესახებ გარეჯის მონასტრის ღვთის-მშობლის სატისა და ორთა ანგელოზთა განახლებაზე მხატვარის ბ-ნ გიგო გაბაშვილის მიერ.

მე მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს, ამ საქმის გარემოება უფრო დაწვრილებით მოგახსენოთ: ხსენებული 500 მანათა შემოსწირა მონასტერს კნეინა მართა დოროძის ასულმა განსაკუთრებით განსაახლებლად მარტო ზემოხსენებულ მხატვრობითა. ეს საქმე როგორც რიგი იყო, ისე მოვახსენე საქართველოს ეგზარხოსს მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესს მთავარ ეპისკოპოსს პავლეს და მან ნება მიბოძა ეს საქმე შემესრულებინა. მე გავურიგდი სანოტარიუსო წესით ბ-ნ გაბაშვილს 500 მანეთად, იმ პირობით, რომ 200 მანეთი ამ თვეით მისცემოდა და დანარჩენიც საქმის დამთავრების შემდეგ. თუ ვინიცობაა ბ-ნმა გაბაშვილმა ეს საქმე ვერ შეასრულა, მაშინ იგი მოვალეა მიღებული 200 მანეთი დაუბრუნოს თავის სარგებლით გარეჯის მონასტერს.

დავშთები თქვენი პატივის-მცემელი გარეჯის მონასტრის წინამძღვარი მღვდელ-მონაზონი.

კალისტრატე

26 აგვისტო

## გაზეთობა

გარდაცვლილა სულთანის უფროსი ხოჯა და საჭურისი ჰარამხანისა, და ყველა გაზეთები იმ აზრისანი იყვნენ, რომ ძნელად თუ სულთანმა მეორე იპოვნოს იმისთანავე ერთგული, როგორიც განსვენებული იყოო. სულთანმა დაჰნიშნა ამ თანამდებობაზედ შერიფ-ედინ-აღა, და ეხლა ისე მოუწონებია ამ ახალს ხოჯას ჰარამხანისას სულთანისათვის თავი, რომ სულთანს „უმაღლესობის“ ხარისხი უწყალობებია. აქამდე უმაღლესობას მარტო დიდს ვეზირს ეძახდნენ ოსმალეთისას და დღეიდგან-კი მეორე უმაღლესობაც გაჩნდა ოსმალეთში: „მისი უმაღლე-

---

არ მეხმოდა, რა ხდებოდა ჩემს თავს. „11 საათზედ ჩამოვეშვით რომელღაც ხშირს ტყეში. მალლეტმა გრძნობა დაჰკარგა და გული შეუწუხდა“.

ქოვისი ამბობს, რომ სწავლულთათვის ძვირფასი ცნობანი შევკრიბე ჩემის უკანასკნელის მოგზაურობის დროსა და ამ განძს შემდეგ შევატყობინებ მეცნიერებასაო. რა ცნობანი შეჰკრიბა ქოვისმა, ეს ჩვენ არ ვიცით და თავის უკანასკნელ მოგზაურობით-კი ცხადად დაამტკიცა, რომ ქვეყანას გარშემო ახვევია ჰაერი, 7,000 მეტრის სიმაღლემდე და დედამიწიდამ ასე მაღლა ადამიანს კიდევ შეუძლიან სიცოცხლე.

**

ტისანდიეს მოთხრობა კიდევ უფრო საინტერესოა, იმ ტისანდიესი, რომელიც ერთის წლის წინად აღრე ავიდა იმავ სიმაღლეზე, რა სიმაღლეზედაც ქოვისი იყო. როგორც ზემოდაცა ვსთქვით, ამ მოგზაურობის დროს ტისონდიეს მოუკვდა გზაში ორი თანამგზავრი, სპინელლი და სიველლი. ორივე მაშინ-კი არ დაიხოცნენ, როცა ბურთი მაღლა მიდიოდა, არამედ მაშინ, როცა ძირს ჩამოდიოდა სწრაფად და თხელ-ჰაერიდამ ბურთი სქელს ჰაერში ეხვეოდა და უგუბებდა სულს გამბედავ მოგზაურებს. აი როგორ მოგვითხრობს ტისანდიე ამ ამბავს, თუმცა თავის ამხანაგების სიკვდილზე-კი არას ამბობს:

„7,000 მეტრის სიმაღლეზე, 1 საათსა და 20 წუთზე დავიწყე ისეთის ჰაერის სუთქვა, რომელშიაც განგებ მჟავე-ბადიც გავურიე, რამდენიც საჭირო იყო. ამის გამო უეცრად ძალა მომეცა და გულის-წუხილი და სევდა გადამეყარა. ხელში საწერი დაფა მეჭირა და როგორც იყო დავწერე ზედა: „ვსუნთქავ მჟავე-ბადსა; კარგად მოქმედობს“. ამ საშინელს სიმაღლეზე ხელ-ღონიერი და ძრიელის ჯანის პატრონი სიველი ისე დასუსტდა, რომ თითქმის ვეღარ ერეოდა ქვიშის ტომარას, რომელსაც სულ 15 კილოგრამი სიმძიმე ჰქონდა. ეს ტომარა 20 ჯერ უფრო მძიმე ეჩვენებოდა. სიველი ხან-და-ხან თვალებსა ჰხუჭავდა და ფითრდებოდა; თითქო რაღაც თავ-დავიწყებას ეძლევაო. ყურები გვეწივოდა და გვებუბუნებდა, თუმცა-კი ერთმანერთის ლაპარაკი კარგად გვესმოდა. ხან-და-ხან ამ ბუბუნის მაგიერ სითბოსა ვგრძნობდით, შემდეგ სიცხესა და ისეთს სიცხესა, რომ ვერ ვუძლებდით. მზე საშინლად გვწვავდა პირი-სახეს. ამავე დროს საშინელის სიცივისაგან კბილები მიკაწკაწებდა, თუმცა საბანში ვიყავ თბილად გახვეული. ხელები გაყინული და გათოშილი მქონდა... მინდოდა თბილი ხელ-თათმანები გამეკეთებინა, პალტოს ჯიბეში მქონდა, მაგრამ ბევრი ვეცადე და ვერ ამოვიღე ჯიბიდამ. არ მესმოდა, რად დავკარგე ძალა. სისუსტე ვეღარ მოვიშორე, თუმცა ყოველ-ღონესა ვხმარობდი, რომ არ შევშინებოდი საშინელ სიცივესა. ძლივს მოვახერხე და გონ-დაუტანებლად დავწერე დაფაზე 7,300 მეტრი, რადგან ბარომეტრზე შევნიშნე, რომ ამ სიმაღლეზედ ვიყავი ასული.

„როცა ძირს ჩამოვედი და გონს მოვედი, აღარ მახსოვდა, როდის დავწერა დაფაზედ ზემოხსენებული რიცხვი. ვატყობდი-კი, რომ ჩემი ხელი იყო. ხელი ამკანკალებოდა და ისე დამეწერა, როგორც სწერს გაცივებული კაცი, რომელსაც ხელები სიცივითა აქვს გაყინული და ბაბანებს“.

**

რაკი ასეთს საშინელს ამბავზედ ჩამოვარდა ლაპარაკი, ბარემ კილოს აღარ შევცვლით და დასასრულ ერთს ამბავსაც მოვუთხრობთ მკითხველს. მაგრამ ჩვენს ქალებს-კი გავაფრთხილებთ წინ-და-წინვე: ვისაც მათგანს სუსტი ნერვები აქვს, ან ცრუ-მორწმუნეა და სწამს ზე-ბუნებური ძალნი, ამ ამბავს ნუ წაიკითხავს, თუ არ უნდა, ტანში მოიშალოს და გუნება წაუხდეს. ეს ამბავი, რასაკვირველია, შემთხვევაა და სხვა არაფერი, მაგრამ ისეთი საოცარი და ახირებული შემთხვევა-კია, რომ ძალა-უნებურად დააფიქრებს ადამიანს და ზოგი იქმნება შიშის ზარმაც აიტანოს. აი ის ამბავი:

გეხსომებათ, რომ ჩრდილო-ამერიკის შეერთებულის შტატების პრეზიდენტი გარფილდი მოჰკლა ვიღაც გიტომ, რომელსაც სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადუწყვიტა. ამ გიტომ, როცა განჩინება გამოუცხადეს, შეუწყნარებელის კადნიერებით დასწყევლა და შეაჩვენა მოწმენიც, ნაფიცნი მსაჯულნიც, მოსამართლენიც, ადვოკატებიც და ასე გასინჯეთ სასამართლოს ბოქაულნიც-კი. ერთის სიტყვით, ყველანი, ვინც-კი ასე თუ ისე მონაწილეობა მიიღო გიტოს საქმეში.

„გდევნიდეთ თქვენ ულმობელი ბედი და იმან გადაგიხადოთ ჩემ მაგიერიო!“—გაცოფებითა და გაბრაზებით იძახდა მკვლელი და მუშტს უღერებდა მოსამართლეებს.

და აი საოცარი ის არის, რომ ახირებულის შემთხვევის გამო გიტოს წყევლა ახდა და იმისი მუქარა ასრულდა საკვირველის სინამდვილითა.

ყველა თორმეტი ნაფიცი მსაჯული, რომელიც ისმენდა გიტოს საქმეს, ფრიად ჯან-საღი და მაგარის აგებულების ხალხი იყო. წარმოიდგინეთ, რომ არ გაუვლია რამდენსამე წელიწადს და ოთხი მათგანი გარდაიცვალა, ხოლო დანარჩენს რვას ათასი უბედურება დაატყდა თავსა. უფროსი ნაფიცი მსაჯული, რომელსაც რამდენისამე ასი ათასის შეძლება ჰქონდა, გაკოტრდა, სულით ხორცამდე დაილუპა და დღიურად მუშაობს, რომ შიმშილით არ მოკვდეს.

პრეზიდენტი საბჭოსი არჩერი, რომელმაც გარფილდის ადგილი დაიჭირა, და რომელმაც არ შეიწყნარა გიტოს თხოვნა შენდობისა და პატიებისა, შარშან ზამთარს გარდაიცვალა. მისტერი ბლენი, გიტოს საქმეზე მოწამედ დასწრებული, რომელიც პრეზიდენტობის კანდიდატად გამოვიდა ამას წინად კლიველანდის მეტოქედ და რომელმაც იმდენი იშრომა, იმდენი მჭევრ-მეტყველება დაჰხარჯა, მშრალზე დარჩა და გაშავებულ იქმნა. მეორე მოწამე ლოგანი უეცრად გარდაიცვალა ამ რამდენისამე თვეის წინად სრულიად ახალგაზდა და ჯან-საღი. ამ ახლო ხანში გარდაიცვალა კიდევ ერთი მოწამე გიტოს საქმისა—დაეით დეჲი.

ექიმი ბლისი, რომელმაც გასინჯა და შეამოწმა მკვლელი პრეზიდენტის გარფილდისა, ამ ჟამად მდებიარე ავადმყოფია და მისი მეგობრები შიშობენ, რომ ვაი თუ ვეღარ გადურჩეს ავადმყოფობასაო. ასე გასინჯეთ, რომ ვაშინგტონის ციხის დარაჯნიც-კი, რომელნიც ყარაულობდნენ გიტოს, ვერ გადურჩნენ საერთო ბედს. თითქმის ყველა მათგანმა დაჰკარგა თავისი ალაგი სხვა-და-სხვა მიზეზებითა და მშიერები დაიარებიან.

ვექილმა ჩარლზ რიდმა, რომელიც გიტოს დამცველი იყო, კინაღამ თავი მოიკლა. ეს ვექილი ჭკუაზე შეიშალა და, რომ არა აეტეხნა-რა თავისთვის, იძულებულ იყვნენ ჭკვაზეშეშლილთა სახლში დაემწყვდიათ.

სხვათა შორის გიტომ დასწყევლა საზოგადოდ რესპუბლიკელთა დასიცა. ჩრდილო-ამერიკაში, როგორც ვიცით, ორი დიდი საპოლიტიკო დასია: რესპუბლიკელებისა და დემოკრატებისა.

— მე დემოკრატი ვარო!—იძახდა გიტო. პირველ არჩევანებზედვე რესპუბლიკელნი დამარცხ.

მართლაც, წარსულს არჩევანების დროს რესპუბლიკელნი, რომელნიც 12 წლის განმავალობაში ბატონობდნენ და ჰმართავდნენ სახელმწიფო საქმეებს, პირველად დამარცხდნენ პირველსავე არჩევანების დროს.

ასეა-კი ეს ამბავი და, რა უნდა იფიქროს ამაზე კაცმა, ჩვენ არ ვიცით. გვგონია, რომ ყოველივე ეს შემთხვევაა, მარტო ოდენ შემთხვევა და სხვა არაფერი!.. ჩვენს მანდილოსანთ შეუძლიანთ დამშვიდდნენ და გული არ შეიწუხონ...

გრ. ყ—ძე

სობა ხოჯა და საჭურისი სულთანის ჰარამ-ხანისა შერიფ-ედინ-ალა“.

**

არა მგონია თუ ერთს ფრანკფურტელ ახალად ჯვარ-დაწერილს მცხოვრებელს-კი ბუზად მიაჩნდეს მარტო ცოლის ზნეობაზე თვალყურის ჭერა-კი არა, თვითონ თავისი ძვირფასი მეუღლეც-კი.

ამას წინად ფრანკფურტში ერთმა ყმაწვილ-კაცმა ჯვარი დაიწერა. აგერ ახალგაზდანი ქალაქის მოურავის წინაშე დგანან, და ის იყო ვაჟმა ჩვეულებრივი „თანახმა ვარო“ უნდა სთქვას, რომ ამ დროს მიუბრუნდა ქალაქის მოურავს და ჰკითხა:

— თუ შეიძლებოდეს, გამაგებინეთ, რა წესით შემიძლიან განვქორწინდე ჩემს ახალად ჯვარ-დაწერილს მეუღლესთან?

გაოცებულმა ქალაქის მოურავმა აუხსნა წესები. ახალგაზდა მეფემ იქვე შეადგინა თხოვნა და შეიტანა, რომ ჩემს მეუღლესთან განმაქორწინეთო. როცა ჯვარი დაიწერეს, ცნობის-მოყვარე ქალაქის მოურავმა ჰკითხა თურმე ყმაწვილ-კაცს მიზეზი ამისთანა ახირებულის საქციელისა.

— სასამართლომ გადამიწყვიტა, რომ ან 5,000 მანათი მიეცი ამ ქალსა და ან ზედ ჯვარი დაიწერეო. ამოდენა ფულის გაღებას მე ისევ ის გარჩიე, რომ ჯვარი დამეწერა. ეხლა, რაკი ჯვარ-დაწერილი ვარ, არავის არ შეუძლიან დამიშალოს, რომ განვქორწინდე ჩემს მეუღლესთანაო, უპასუხნია ყმაწვილ-კაცს.

ტყუილად-კი არ არის ნათქვამი:

ხერხი სჯობია ღონესა,
თუ კაცი მოიგონებსა.

**

დიაღ, კარგი რამ არის ხერხი, ბევრს მრუდე საქმეს გაასწორებს და სწორეს გაამრუდებს; ბევრს კაცს უძვრენია თავი ხერხის საშუალებით გაჭირებისაგან და წყლიდგან მშრალი ამოსულა. ცოტა ხერხი არ დასჭირდებათ აგრეთვე პრაგის ექიმებს, რომ ოქროს საათი ოქროსავე ძეწკვით ამოუღონ მუცლიდგან საბრალო თერძს, რომელიც, ვინ იცის, თავის დღეში ოქროს საათის ჯიბეში ტარების ღირსი არ გამხდარა.

ამას წინად პრაგის სამკურნალოში მისულა თერძი კრნანსკი და გამოუცხადებია, რომ გაუფრთხილებლობით ოქროს საათი ოქროსავე ძეწკვით ჩავულაპე და მიშველეთ რამეო. ეს საქმე მიუნხენში მომხდარა. ლუდხანაში ყოფილან ამხანაგები. ერთს ამხანაგს, როცა კრნანსკის საითკენღაც მიუხედნია, იმის ჭიქაში პატარა ოქროს საათი ჩაუგდია ძეწკვით. კრნანსკის არა სცოდნიარა, მოუყუდებია ჭიქა, ყლაპი უქნია... და ოქროს საათს და ოქროს ძეწკვს თერძის მუცელში მოუდენია ყლაპანი. დაფაცურებულან მიუნხენის ექიმები, ზოგს თავიდგან უვლია ავადმყოფისათვის, ზოგს ფეხებიდგან, მაგრამ ვერაფერი უშველიათ-რა, ვერაფრით ამოუპატიჟნიათ ზემოდ ბ-ნი ოქროს საათი ოქროს ძეწკვითურთ. ამ ექიმებს ბევრის ცდის შემდეგ მხოლოდ ძეწკვის ზოგიერთი ნაწყვეტები და საათის შუშის ნაჭრები ამოუღიათ. საბრალო თერძი ძალიან ავად არის თურმე და ეხლა პრაგის ექიმებთან მისულა, მაგრამ ამ ექიმებსაც არა აქვთ იმედი ავადმყოფის მორჩენისაო.

# დეპეშა

28 აგვისტო.

პეტერბურგი. „Петербургскія Вѣдомости“-ს სიტყვით, სახელმწიფო საბჭოში განსახილველად შეუტანიათ წესდება გლეხთა საადგილ-მამულო ამხანაგობათა, რომელნიც მამულებს გლეხთა საადგილო-მამულო ბანკის შემწეობით ყიდულობენ.

ბერლინი. დღეს ღამე ბისმარკი დაბრუნდა კესინგენიდგან.

გაზეთები ავრცელებენ ხმას, რომ ბისმარკი, რადგან ბერლინის კონგრესის თავ-მჯდომარედ იყო, ეხლა მიიღებს პირადს მონაწილეობას ბოლგარიის გამწვავებულ საქმის გადაწყვეტაშიო.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატაში ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ თუმცა ეიუბ-ხანი ავღანის სამზღვარს გადაკიდა, ავღანიდგან უკანვე იქმნა გაძევებულ სპარსეთშიო.

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ(1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-4,

ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4,

ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2576 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

აგვისტო 31 დღით არის.

**29 დღე შაბათი.** თავის-კვეთა წმ. წინა-მორბედისა და ნათლის-მცემლისა იოანნესი, კათოლ. თავის-კვეთა წმ. იოანნესი. სომეხ. წმ. მოციქ. თომასი, იაკობისა და სვიმეონისა. ნახატონაქი. მუსულ. მე-23 რიცხვი თთვისა ზილ-ჰაჯისა, 1304 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57. ტფილისში მზე ამოდის 5—34, ჩადის 6—19; მთვარე 23 დღისაა.

**30 დღე კვირა.** წმ. ალექსანდრესი, იოანნესი და პავლესი. კათოლ. ფელიქსესი და როზასი. სომეხ. წმ. ღვთის-მშობლის სარტყლის პოვნა. ქორწინებათა ნება ეძლევათ. მუსულ. მე-24 დღე თთვისა ზილ-ჰაჯისა, 1304 წ. ჰიჯრისა. სახელ-წოდება მისის უდიდებულესობის იმპერატორის ალექსანდრე ალექსანდრეს ძისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 5—35, ჩადის 6—17; მთვარე 24 დღისაა.

**31 დღე ორშაბათი.** წმ. ღვთის-მშობლის სარტყლის პოვნა. კათოლ. რაიმუნდისა და რუფინისა. სომეხ. წმ. სტეფანე ულნელ., გოა ინისა და სხ. მუსულ. მე-25 რიცხვი თთვისა ზილ-ჰაჯისა, 1304 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 6—36, ჩადის 6—15; მთვარე 25 დღისაა.

სექტემბერი 30 დღით არის.

**1 დღე სამშაბათი.** ღირსისა სვიმეონ მესვეტისა და იმის დედისა მართასი. კათ. გედეონისა და სამსონისა. სომეხ. იეზეკიელისა, ეზრასი და ზაქარიასი. მუსულ. მე-26 რიცხვი თთვისა ზილ-ჰაჯასი, 1304 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 5—37, ჩადის 6—14. მთვარე 26 დღისაა.

**2 დღე ოთხშაბათი.** მოწ. მამანტესი და თეოდორესი. კათოლ. სტეფანესი და ფილადელფიისა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-27 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი, 1304 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 5—36, ჩადის 6—12. მთვარე 27 დღისაა.

## პეტერბურგის ბირჟა, 25-ს აგვისტოს

ფ ა ს ე ბ ი:

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — » | 9 22 | — » |
| ტამოჟნის კუპონები | — » | — » | 187 |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — » | — » | 1 31 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — » | — » | $275^1/_4$ |
| — მეორისა | — » | — » | $255^1/_4$ |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა | — » | — » | — » |
| ქუთაისის ბანკისა | — » | — » | — » |
| ტფილისის სურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — » | — » | — » |

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 აგვისტოდამ 1 სექტემბრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | . | 5 კაპ. |
| პური 1-ის ხარისხის | . | 3 » |
| » 2 » | | $2^1/_2$ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | | 5 » |
| » » 2— | | $3^1/_2$ » |
| » » 3 » | | 3 |
| *ჯვარის მამის პურის ლავაში* | | |
| 1-ლის ხარისხისა | | 5 » |
| მე-2 ხარისხისა | | 4 » |
| მე-3 — | | » » |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა | | 7 » |
| » 2 » | | 6 » |
| სუკი | | 13 » |
| ცხვრის ხორცი | | 7 » |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა | | » » |
| » 2 » | | » » |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით საღამოების 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დღისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მისწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუსულია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდის ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს გადაზე გემები

კვირაობით, სამშაბათზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავი საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდან პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ აქ რომ ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანაოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.


# კერძო განცხადებანი

## ექიმის სახლობას

სურს აიყვანოს იაფ ფასად ერთი მოსწავლე ყმაწვილი; მოსწავლეს ასმევ-აჭმევენ და თვალ-ყურს დაიჭერენ. მოლაპარაკება ამ საქმის თაობაზე შეიძლება **საექიმო და საგიმნასტიკო სახლში**, რომელიც აქვს გამართული **მედიცინის დოქტორს ფრანციუსს.** სოლოლაკი, ამაღლების ქუჩის კუთხე, სახლი ტერ-ყაზაროვისა. (5—3)

სოფელს წინამძღვრიანთ-კარში, დუშეთის მაზრაში, ტფილისის გუბერნიაში (საგურამოს ველში), ოთხი წელიწადია, რაც არსებობს სასოფლო მეურნეობის სკოლა პირველდაწყებისის მოსამზადებელის კურსით, ფერმით და სახელოსნოთი. წლევანდლამდე გახსნილი იყო ოთხი განყოფილება, ხოლო ამა 1887 წლის 1 სექტემბრიდამ მოემატება პირველი სპეციალური კლასი.

სასწავლო სკოლის კურსს შეადგენს საგნები:

ა) საღმრთო რჯული;

ბ) რუსული და ქართული ენები;

გ) არითმეტიკა და პრაქტიკული გეომეტრია;

დ) მამულის შესწავლა, მოკლე გეოგრაფია რუსეთისა და ევროპის სახელმწიფოებისა და საზოგადო მიმოხილვა ქვეყნებისა;

ე) ზოოლოგია, ბოტანიკა და მინერალოგია;

ვ) მიწის შემუშავება, ხეხილისა და ვაზის კეთება, ბოსტნეულობა, ფუტკრის გაშენება, პირუტყვის მოვლა, სასოფლო მეურნეობის ანგარიშის ცოდნა და ტეხნოლოგია;

ზ) ჰიგიენა და პირუტყვთ-მკურნალობა;

ც) ხატვა;

თ) ხორით გალობა;

და ი) სწავლა ხელოსნობისა: დურგლობისა, მჭედლობისა, ჩილინგლობისა და ბოჩკის კეთებისა.

წელს ხუთ სექტემბერს იქმნებიან მიღებულნი ჯან-მრთელნი ბავშვები არა ნაკლებ ათის წლისა ყველა წოდებისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა. სკოლას ჯერ-ჯერობით არა აქვს გამართული პანსიონი და ამისათვის სხვა-და-სხვა დაშორებულ მხრიდგან მობარებული სკოლის შეგირდები იქმნებიან მოსიარულენი დროებით, მანამ დასრულდება უკვე დაწყებული შენობა ყმაწვილების სადგურისა. ყმაწვილები სარგებლობენ უფასოდ ყველა სასწავლო ნივთებით და აგრეთვე საჭირო წიგნებით. გამოცდა ყმაწვილებისა არ იქმნება.

ვისაც ჰსურს მიაბაროს თავისი შვილი სასოფლო მეურნეობის სკოლაში, იმან უნდა წარმოადგინოს ყმაწვილი 1 სექტემბერს სოფ. წინამძღვარიანთ-კარში, რომელიც მდებარეობს მცხეთიდამ თორმეტ ვერსტზედ, და განუცხადოს იქ კრებას პირად ანუ წერილით თავისი სურვილი და უშოვნოს ყმაწვილს სოფელში ბინა. ყმაწვილებს არ მოეთხოვებათ არა რაიმე მოწმობა.

მზრუნველი სკოლისა ი. წინამძღვრიშვილი

# ТИПОГРАФІЯ „КАВКАЗСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(Н. И. Френкель)

Переведена на Головинскій Проспектъ, противъ Аптеки Гене, въ д. **Шабурова.** Принимаетъ всевозможныя типографскія работы на русскомъ, туземныхъ и иностранныхъ языкахъ. Исполненіе скорое и аккуратное. Цѣны умѣренныя.

ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| ილილა და დამანა, ვახტანგ მეფ. მესისა | 3 | » |
| ვისრამიანი, სარგის თმოგველისა | 1 | 50 |
| სიბრძნე-სიცრუვე, საბა-სულხან ორბელიანისა | » | 50 |
| დავითიანი, დავით გურამიშვილისა | 1 | » |
| თამარ ბატონიშვილი, გრიგოლ რჩეულოვისა | 1 | » |
| ნაწერები ალექსანდრე ორბელიანისა | » | 50 |
| ნაწერები გრიგოლ ორბელიანისა | » | 30 |
| თხზულებანი ნ. ბარათაშვილისა | » | 40 |
| მეჯლანუაშვილი, არდაზიანისა | » | 30 |
| დედა და შვილი, ილია ჭავჭავაძისა | » | 20 |
| რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ, მისივე | » | 10 |
| სურამის ციხე, ჭონქაძისა | » | 20 |
| ბატონიშვილის პირველი დრო, ალ. ორბელიანისა | » | 30 |
| თხზულებანი, რაფაელ ერისთავისა | » | 1 |
| ნაწერები, ვახტანგ ორბელიანისა | » | 20 |
| ქართული გამოცანები, რაფაელ ერისთავისა | » | 5 |
| იგავ-არაკი, რაფაელ ერისთავისა | » | 25 |
| განკიცხული, მოხსუბარიძისა | » | 50 |
| ციკო, მისივე | » | 30 |
| პატარა ბიბლიოთეკა, იაკობ გოგებაშვილისა | » | 10 |
| მიტრიდატ დიდი, დიმიტრი ბაქრაძისა | » | 10 |
| ბაგრატ მეოთხე, მისივე | » | 20 |
| მირიან მეფე და წმიდა ნინო, მისივე | » | 10 |
| ვახტანგ მეექვსე, მისივე | » | 1 |
| დარიგება მასწავლებელთათვის ი. გოგებაშვილისა | » | 5 |
| არითმეტიკა, დიდებულიძისა | » | 50 |
| არითმეტიკული გამოცანები, ივ. როსტომაშვილისა | » | 1 |
| წითელი ფარანი, თარგმანი | » | 15 |
| ზაფხული, ჯუღელის რედაქციით | » | 2 |
| ხატაური, ანასტასია თუმანიშვილისა | » | 10 |
| ამბები ყრმათათვის, ან. ჯუღელისა | » | 5 |
| არსენას ლექსი | » | 5 |
| ბანჯგვლიანი ფუტკარი, თარგმანი | » | 15 |
| ქართული ანდაზები | » | 10 |
| თვალ-საჩინო სწავლა, მ. ჭაჭიკაძისა | » | 4 |
| ირაკლი მეორის გლოვა | » | 5 |
| ალი, ნ. ლომოურისა | » | 30 |
| დრო არის საქმეს შეუდგეთ, ქ. მამაცაშვილისა | » | 20 |
| ალმანახი, გ. თუმანიშვილისა | » | 40 |
| სტეფენსონი, ბარბარე თუმანიშვილისა | » | 5 |
| მოძღვარი, ალ. ყაზბეგისა | 1 | » |
| თხზულებანი, მისივე ნაწ. I. | » | 60 |
| რობინზონ კრუზე, ან. თუმანიშვილისა | » | 30 |

# საკომერციო კურსები

## ქალებისა და ვაჟებისათვის.

წელიწადი მეექვსე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს და მოამზადოს ვაჭრობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნე.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1887—88 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორ-კეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და შნოიანი.

სწავლა დაიწყობა 15 სექტემბრიდამ; ახლად შემოსასვლელთა მიღება დაიწყობა 25 აგვისტოდამ ყოველ-დღე საღამოს 5 საათიდამ 8 საათამდე კურსების სადგომში, სოლოლაკში, ლაბორატორიის ქუჩაზედ, № 11.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქ გარეშე სცხოვრებს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. ზ. მანუელიანცს ტფილისს.